



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-87. 87223564

თარიღი:22/12/2022

დადგენილება №64

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №22 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/12/2021; სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.162.016558) და ამ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები

| № | თანამდებობის დასახელება | თანამდებობის პირთა რიცხოვნობა | თანამდებობრივი სარგო (ლარებში) |
|---|---|-------------------------------|--------------------------------|
| 1 | საკრებულოს თავმჯდომარე | 1 | 4960 |
| 2 | საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე | 1 | 3750 |
| 3 | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე | 2 | 3260 |
| 4 | საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე | 5 | 2660 |
| 5 | საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე | 2 | 2420 |
| 6 | საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | 9 | 1940 |